

# The Problematic Aspects of Differentiating Bribery and Influence Trading

**Giorgi Gamkhitashvili**

*PhD student at the Faculty of law at Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Attorney*

Email: [ggamkhitashvili2@gmail.com](mailto:ggamkhitashvili2@gmail.com)

გიორგი გამხიტაშვილი

## ABSTRACT

The purpose of this article is to draw attention to the problematic issues regarding the relationship between bribery and influence trading. While there are numerous types of corruption, the cornerstone of their manifestation is bribery, as well as a relatively new category of an official crime in our legislation – influence trading, which, although is not a corruption crime, contributes to the country's corruption environment. The provision on influence trading has widened the legal framework for fighting corruption. In particular, legal scope of its application extends to conducts that do not come under the legislative definition of receiving and giving bribes.

In light of the foregoing, bribery and influence trading share some similarities and, for the most part, unique characteristics. As a result, it is rather complicated to properly separate these offences during legal procedure. It is particularly difficult in court practice to distinguish between the influence of "official authority" and that of kinship or friendship, resulting in frequent instances of incorrect legal qualification for confusion and misuse of these articles, which results in completely different legal consequences. Such cases are unacceptable, particularly, given that bribery is a serious crime while influence trading is a less serious one.

Thus, the article analyzes the primary characteristics of bribery and influence trading, as they represent the fundamental legal grounds for their separation, based on the examples from court practice.

**KEYWORDS:** *Officiary, Authority, Influence*

## შესავალი

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულთა თავში 2006 წლის 25 ივნისით დათარიღებული კანონის საფუძველზე შემოღებულ იქნა ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა 339 პრიმა მუხლის სახით, რომელიც გარკვეულწილად შეიცავს კორუფციული დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს კორუფციულ დანაშაულს, მაგრამ ქვეყანაში ქმნის კორუფციის ფონს, რადგან ამკვიდრებს აზრს, რომ ქრთამის გარეშე შეიძლება ყველაფრის „მოგვარება“, თუ მოხელესთან დაახლოებულ პირს გადმოიბირებ. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ დოქტრინაში საკმაოდ მკაფიოდ არის განსაზღვრული ზეგავლენით ვაჭრობის ფუნქციური დანიშნულება და მისი მოქმედების ფარგლები, დღემდე საკმაოდ პრობლემატურ მხარედ რჩება სასამართლო პრაქტიკაში ზეგავლენით ვაჭრობისა და ქრთამის აღების გამიჯვნის საკითხი.

სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნულ დანაშაულთა აღრევის მთავარ საფუძვლად გვევლინება ის ფაქტი, რომ, სამწუხაროდ, სამართალმეფარდების პროცესში ზედაპირულად ხდება საქმის შესწავლა, აქცენტი გადატანილია არა საქმის ფაბულის არსზე, ფაქტობრივი გარემოებების ლოგიკურ გაანალიზებაზე, არამედ მხოლოდ ფორმალურ მხარეზე – ამ შემთხვევაში სუბიექტებზე, უკეთეს საქმეში ფიგურირებს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ავტომატურად ქმდება კვალიფიცირდება ქრთამის აღებად, მაშინ როდესაც სახეზეა ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა.

ამდენად, საკითხის სრულყოფილი კვლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩინია, რომ იგი განხილულ იქნეს იურიდიული დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

## მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის მსგავსება უპირველესად გამოიხატება სწორედ მათ მიერ დასაცავი ზოგადი სამართლებრივი სიკეთის ბუნებაში. კერძოდ, დანაშაულის ორივე შემადგენლობა, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, მიმართულია სახელმწიფოში ნებისმიერი სახის კორუფციის აღმოფხვრისაკენ, მათი გამოვლენის ფორმებისა და განმასხვავებელი პირების მიუხედავად. ორივე დანაშაულის სამართლებრივი დაცვის ობიექტს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც მისი ორგანიზაციული აპარატებისა და მათში მომუშავე საჯარო მოხელეთა ერთობის, პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა. საბოლოოდ კი, მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის ქმედებათა კრიმინალიზაცია, პირველ რიგში მიზნად ისახავს სახელმწიფოში კორუფციული ფონის აღმოფხვრასა და ჯანსაღი, ნეიტრალური, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული კომპონენტი გახლდათ იმ ზოგადი მსგავსების გამოხატულების კონკრეტული ელემენტი, რის გამოც ისინი მიიჩნევიან სახელმწიფოსათვის კორუფციულ ქმედებებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ სისხლისსამართლებრივ ბერკეტად.

სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლი დამატებითი დაცვის მექანიზმია კორუფციულ ქმედებათა წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაში და გამოიყენება იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც, თავიანთი გამოვლინების ბუნებითა და ფორმით, პირდაპირ ვერ ექცევიან მექრთამეობის სამართლებრივ არეალში.

რაც შეეხება უშუალოდ მათი დისპოზიციურ ღონეზე მსგავსების ნიშნებს, ესენია:

1) დანაშაულის საგანი, კერძოდ, ორივე დანაშაულის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრით დაინტერესებული პირი მოხელეზე არამართლზომიერი და სხვაგვარი გავლენის მოსახდენად ახორციელებს მატერიალური და ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების გადაცემას მექრთამეობის შემთხვევაში უშუალოდ მოხელეზე ან ამ უკანასკნელის მიერ ამ საქმისათვის გამოყოფილ პირზე, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას კი – პასიურ ზეგავლენით მოვაჭრეზე.

ქრთამის აღების მუხლის (სსკ-ის 338-ე მუხლი) თავდაპირველ რედაქციაში ქრთამის საგნად მითითებული იყო მხოლოდ მატერიალური სიკეთეები, რის გამოც, ზოგადად, მექრთამეობა მიიჩნეოდა მხოლოდ ანგარებითი დანაშაულის გამოსატყულებად, კერძოდ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, „მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და, მაშასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არსს წარმოადგენს“.<sup>1</sup> თუმცა 2006 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული კანონით შესული ცვლილებებით ქრთამის საგნის ჩამონათვალი გაფართოვდა, კერძოდ, მას დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი, კერძოდ, „სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა“. აღნიშნული ასევე გულისხმობს იმ არამატერიალურ ფასეულობებსაც, რომლებიც მოხელისათვის შეიძლება იმდენად მისაღები და სასარგებლოც კი აღმოჩნდეს მატერიალურ სიკეთესთან შედარებით, რომ მან განახორციელოს ქრთამის მიცემისათვის საჭირო ქმედება. ამის საილუსტრაციოდ

იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი შემთხვევები, კერძოდ, „მოხელეს სთავაზობენ, რომ დაუმსახურებლად მიანიჭებენ საპატიო წოდებას ან დაუწერენ დისერტაციას, თუ სანაცვლოდ იგი ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის განახორციელებს რაიმე ქმედებას“.<sup>2</sup> არამართლზომიერი უპირატესობა შესაძლებელია იყოს ზეგავლენით ვაჭრობის საგანიც, როდესაც არამართლზომიერი უპირატესობით სარგებლობის მოთხოვნის ან შეთავაზების სანაცვლოდ, მოხელის ახლობელი მზადაა მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოსახდენად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2004 წლის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციაში<sup>3</sup> მოცემულია ზეგავლენით ვაჭრობის ცნება, აღნიშნული მუხლის განმარტებისას იურიდიულ დოქტრინაში გაანალიზებულია არამართლზომიერი ზეგავლენის ფარგლები, რომლის თანახმადაც: „არამართლზომიერი უპირატესობის ღიაპაზონი არის ფართო, უმეტესწილად ის შეიძლება იყოს რაღაც მატერიალური და ძვირფასი (ღირებულები), როგორცაა, მაგალითად: ფული, ძვირფასი ნივთები და ა.შ. მაგრამ ასევე შეიძლება იყოს არამატერიალური სარგებლის ისეთი სახე, როგორცაა: შიდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სექსუალური ან სხვაგვარი ხასიათის კეთილგანწყობა, მფარველობა“.<sup>4</sup> არამატერიალური სარგებელი, როგორც არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთ საგანი, მოხსენიებულია ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ მე-12 მუხლშიც. ამდენად, ამ კომპონენტი-

- 1 მაყაშვილი, ვ. და ტყემელიაძე, გ., 1964. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 44.
- 2 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 392.
- 3 United Nations Convention against corruption. New York 2004. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.unodc.org/documents/brussels/UN\\_Convention\\_Against\\_Corruption.pdf](https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf)> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
- 4 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 15.

თაც აღნიშნული დანაშაულები ემსგავსება ერთმანეთს.

ზემოთ აღნიშნული საერთო ნიშნების მიუხედავად, მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის არის მთელი რიგი განსხვავებანი:

„მექრთამეობაში აუცილებელია ორმხრივი ურთიერთობა – ქრთამის ამღები და მისი მიმცემი. ზეგავლენით ვაჭრობა კი სამხრივ ურთიერთობას გულისხმობს – დაინტერესებული პირი (რომელიც წააგავს ქრთამის მიმცემს), ზეგავლენით მოვაჭრე (რომელიც წააგავს შუამავალს მექრთამეობაში) და მოხელე“.<sup>5</sup> საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამხრივი ურთიერთობა მიჩნეულია ზეგავლენით ვაჭრობისა და მექრთამეობის განმასხვავებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად.<sup>6</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დაინტერესებული პირი (აქტიური ზეგავლენით მოვაჭრე) და ქრთამის მიმცემი. ეს უკანასკნელი პირდაპირი გზით ამყარებს კონტაქტს მოხელესთან, უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით აძლევს/უგზავნის მას ქრთამის საგანს და უთანხმდება „საქმის მოგვარების“ პირობებზე. აქტიური ზეგავლენით მოვაჭრე კი „საქმის მოგვარების“ სანაცვლოდ უშუალოდ ჰპირდება და სთავაზობს ფულს ან სხვა საგანს არა უშუალოდ მოხელეს, არამედ ამ უკანასკნელთან კარგ ურთიერთობაში მყოფ პირს, რომელსაც შეუძლია მოხელის დარწმუნება მისთვის სასიკეთო გადაწყვეტილების მისაღებად. ამდენად, როგორც ვხედავთ, ქრთამის მიმცემს, აქტიური ზეგავლენით მოვაჭრესთან შედარებით, ბევრად უფრო მყარი გარანტი-

ები აქვს თავისი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან მას მოხელესთან გააჩნია არა ირიბი (როგორც ეს ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაშია), არამედ – პირდაპირი კავშირები.

„პასიური ზეგავლენით ვაჭრობა უნდა განვასხვავოთ მექრთამეობაში შუამავლობისაგან. შუამავალი არის ის, რომელიც მოქმედებს ქრთამის მიცემის ან ამღების ინტერესებიდან გამომდინარე და ხელს უწყობს ქრთამის მიცემა – ადების განხორციელებას. ხშირად შუამავალი მექრთამეობაში მონაწილე მხარეებისაგან მატერიალურ გასამრჯელოს დებულობს დახმარებისათვის, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იგი მოქმედებდეს ანგარების გარეშე“.<sup>7</sup> პასიური ზეგავლენით მოვაჭრე კი, ყოველთვის უშუალოდ იღებს ან სარგებლობს მისთვის გადაცემული დანაშაულის საგნით, მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ.

ქრთამის ადების ამსრულებელი მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, ზეგავლენით მოვაჭრე კი კერძო პირია, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ქრთამის ადების დროს მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს, ქრთამის სანაცვლოდ, სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით შეუძლია ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესაბამისი ქმედების განხორციელება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მოცემული საქმის მოგვარება უშუალოდ არ შედის მოხელის სამსახურებ-

5 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 415.

6 Anti – Corruption resource centre. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.u4.no/terms>> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].

7 ლლონტი, გ. და სხვები. 2011. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. გვ. 314.

რივ უფლებამოსილებაში, არამედ ეს საკითხი განეკუთვნება სხვა უფლებამოსილი პირის კომპეტენციას, რომელზედაც მოხელემ თავისი სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით მოახდინა გავლენა და მიაღებინა ქრთამის მიცემის სასარგებლო გადაწყვეტილება. სამართალმეფარდების პროცესში სწორედ ამ ასპექტში იკვეთება მთავარი პრობლემა მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის.

აღნიშნული საკითხის უკეთ გაანალიზებისათვის განვიხილოთ საქმე, ქართული სასამართლო პრაქტიკიდან. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ბრალდების მხარემ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, პირობითად „ა“-ს, ბრალი წაუყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ქრთამის აღებისათვის. „ა“-ს ქმედება გამოიხატა იმაში, რომ იგი თავის ნაცნობს დაჰპირდა გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებაში დახმარებას, რადგან მას მერიაში ჰყავდა ახლობელი მატალჩინოსნები, რომლებთანაც გააჩნდა ახლობლური ურთიერთობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისას „ა“-ს ქმედება ქრთამის აღებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე – ზეგავლენით ვაჭრობაზე. ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და „ა“-ს ქმედება დააკვალიფიცირა ქრთამის აღებად. სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით კი ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და „ა“-ს ქმედება სსსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსსკ-ის 339-ე<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილზე. განსახილველ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ „ა“-ს ქმედების ზეგავლენით ვაჭრობად დაკვალიფიცირების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა, რომ „ა“ „ბ“-ს დასაქმებას თავისი ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით აპირებდა, რაც გამორიცხავს თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით უკანონო ქმედების განხორციელების შეპირებას და შესაბამისად, მისი ქმედების ქრთამის აღებად შეფასების სამართლებრივ შესაძლებლობას.<sup>8</sup>

ამ გადაწყვეტილებით დადასტურდა, თუ როგორი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს პრაქტიკაში სამოხელეო დანაშაულის ამ ორ სახეს შორის. ამდენად, საინტერესოა, ქრთამის აღებისა და ზეგავლენით ვაჭრობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა და მათი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების დადგენა სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.

სსკ-ის 339-ე პრიმა მუხლში<sup>9</sup> ზოგადად საუბარია მოხელეზე ან მასთან გათანაბრებულ პირზე ზეგავლენის მოხდენაზე, თუმცა არ არის განმარტებული „ზეგავლენის“ არსი ე.ი. მისი საკანონმდებლო დეფინიცია და გამოყენების ფარგლები. აღნიშნული მუხლის შემოღებას საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სა-

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განაჩენი (საქმე N 497 აპ-16).

9 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999.2287.

მართლის კონვენცია". აღნიშნული კონვენციის მე-12 მუხლით, რომელსაც ეწოდება შუამავლობა უარყოფითი გავლენის მოხდენაში, დანაშაულადაა გამოცხადებული ისეთი ქმედება, რომელიც გამოიხატება განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებაში, ან შეთავაზებაში მისთვის, ვინც ასაბუთებს ან ადასტურებს, რომ შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა მოხელეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.<sup>10</sup>

აღნიშნული მუხლის სისტემური და ლოგიკური განმარტებიდან ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ზეგავლენით მოვაჭრეები მოხელესთან ახლო კავშირში მყოფი პირები არიან. ზეგავლენით ვაჭრობის ამსრულებლად არ უნდა ჩაითვალოს ის ფიზიკური პირი, რომელიც მოხელეზე ზეგავლენის მოხდენას ჰპირდება რაიმე სარგებლის მისაღებად, თუმცა, არავითარი რეალური ან სავარაუდო ზეგავლენა მასზე არა აქვს.<sup>11</sup> კერძოდ, როდესაც პირი უმტიციებს აქტიური ზეგავლენით მოვაჭრეს, მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ იტყუება, იცის, რომ მას არ გააჩნია მოხელეზე არანაირი სახის ზეგავლენის განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება თაღლითობა ან მისი მცდელობა.

აქვე უნდა გაანალიზდეს თუ რას ნიშნავს რეალური და სავარაუდო ზეგავლენა. რეალური ზეგავლენა სახეზეა მაშინ, როდესაც პირი, მოხელესთან არსებული ახლო და მტიცივე ურთიერთობიდან გამომდინარე, ღრმად დარწმუნებულია, რომ მოხელე მის თხოვნას აუცილებლად მიიღებს მხედველობაში. სავარაუდო ზეგავლენა სახეზეა მაშინ, როდესაც პირს იმედი აქვს,

ვარაუდობს (თუმცა, დარწმუნებული არაა), რომ იგი შეძლებს მოხელეზე ზეგავლენის მოხდენას, თუმცა, იგი ამას ვერ მოახერხებს. ამ შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება პასიური ზეგავლენით მოვაჭრედ, ვინაიდან მას მოხელესთან რეალურად ჰქონდა გარკვეული სახის ურთიერთობა, რამაც მას იმედი მისცა მოხელეზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე.

აღნიშნულ საკითხზე აგრეთვე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის N 128 აპ-16 განაჩენი, რომლითაც ზეგავლენით ვაჭრობა გადაკვალიფიცირდა ქრთამის აღებად. საქმის ფაბულა მდგომარეობდა შემდეგში: პირობითად „ა“ იყო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოადგილე და, ამავდროულად, მიწის ნაკვეთების გასხვისების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კონკრეტული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, იგი დაჰპირდა ბიზნესმენს, რომ კონკრეტული თანხის გადახდის შემთხვევაში, იგი გამოიყენებდა თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას და საკითხის განხილვისას ზეგავლენას მოახდენდა კომისიის სხვა წევრებზეც მისი სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდა, რომ „ა“-ს ერთპიროვნულად არ შეეძლო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი წყდებოდა კომისიის მიერ, ხმათა უმრავლესობით. განსახილველ შემთხვევაში, „ა“-მ ბიზნესმენის ინტერესების სასარგებლოდ არა მხოლოდ უშუალოდ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, რაც გამოიხატა მიწის საკუთრებაში გადაცემის გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემით, არამედ მან გამოიყენა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი კომისიის

10 ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“. სტრასბურგი 27/01/1999.

11 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. დათოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 412.

სხვა წევრებზე ზეგავლენის მოსახდენად, რის შედეგადაც კომისიამ საკითხი გადაწყვიტა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ „ა“-ს ქმედება დაკვალიფიცირდა 339-ე<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით (პასიური ზეგავლენით ვაჭრობა). აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთდა იმ არგუმენტით, რომ ვინაიდან „ა“-ს ერთპიროვნულად არ შეეძლო ბიზნესმენის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება, ეს გამორიცხავდა ქრთამის მიცემის სასარგებლოდ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, რის გამოც მან მოახდინა არამართლზომიერი ზეგავლენა იმ პირებზე, კომისიის სხვა წევრებზე, რომელთა კომპეტენციამაც შედიოდა მიწის გასხვისების საკითხის გადაწყვეტა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და აღნიშნა, რომ „მართალია „ა“-ს არ შეეძლო ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება ქრთამის გამღები ინვესტორის სასარგებლოდ, მაგრამ თავისი უფლებამოსილების გამოყენებით მას შეეძლო როგორც თავისი წვლილის შეტანა კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებაში (საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის ხმის მიცემის გზით), ასევე მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებაში მონაწილე სხვა ოფიციალურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა, რის დაპირებასაც ის იძლეოდა კიდევ ქრთამის სანაცვლოდ.“<sup>12</sup>

საკასაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა მართებულია რამდენიმე გარემოების გამო: 1) ქრთამის აღების დროს მოხელე ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ განიხილავს უშუალოდ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს (გამონაკლისია თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება), აქ იგულისხმება როგორც მის მიერ ერთპიროვნულად საკითხის გადაწყვეტის ფაქტობრივი შესაძლებლობა, აგრეთვე მისი უშუალო მო-

ნაწილეობა კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ გააჩნია სამართლებრივი უფლებამოსილება, თავად გარკვეული სახის წვლილი შეიტანოს საკითხის გადაწყვეტის საბოლოო პროცესზე. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა სწორედ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისკენ მიმართული ხმის უფლება. ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაში კი გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით მოხელეს არ გააჩნია არანაირი სახის კომპეტენცია, დაინტერესებულ საკითხთა სფერო მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების მიღმაა. 2) განსახილველ საქმეში უტყუარად დადასტურდა მოხელის მიერ კომისიის სხვა წევრებზე თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის (და არა პირადი ურთიერთობების) გამოყენების ფაქტი, აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია.

მართალია, ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას გააჩნია საერთო ნიშნები, თუმცა ისინი თავიანთი არსითა და დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთავარი (კონსტიტუციური) განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ ზეგავლენით ვაჭრობისას, განსხვავებით ქრთამის აღება-მიცემისაგან, წინა პლანზეა წამოწეული პირადი ხასიათის (ახლობლური, მეგობრული, ნათესაური და ა.შ.) ურთიერთობები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად (მოტივად) გვევლინება.

როგორც ზემოთ განხილულ განაჩენებში გამოჩნდა, ამ დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც პასიური ზეგავლენით ვაჭრობის ამსრულებლად გვევლინება არა კერძო პირი, არამედ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ როდესაც საქმეში ფიგურირებს მოხელე, ეს

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი (საქმე N 128 აპ-16).

უპირობოდ არ უნდა ჩაითვალოს მის მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება და, შესაბამისად, ეს ვითარება არ უნდა ვაქციოთ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების პრეზუმფციად. ამ შემთხვევაშიც ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, მოხელე დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად სხვა მოხელეზე თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ახდენს არამართლზომიერ ზეგავლენას, თუ პირადი ხასიათის ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხელე უნდა ჩაითვალოს კერძო პირად, დანაშაული კი უნდა დაკვალიფიცირდეს ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით. მაგალითად, ძვირფასი ბეჭდის ჩუქების სანაცვლოდ მოხელემ დაუდასტურა პირს, რომ იგი დაითანხმებდა მოსამართლეს, რომელიც არის მისი მეჯვარე, ამ პირის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანაში.

აგრეთვე, საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემდეგი შემთხვევა, როცა დანაშაულის საგანი გადაეცემა უფრო მაღალი რანგის თანამდებობის პირს, შედარებით დაბალი რანგის თანამდებობის პირზე ზეგავლენის მოსახდენად, როცა ისინი ამავე დროს ნათესავები (ან ახლო მეგობრები) არიან? მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დაპირდა პირს, რომ ძვირფასი საჩუქრის სანაცვლოდ იგი მოაგვარებდა ამ საქმეს გადაწყვეტილების მიმღებ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლესთან, რომელიც ამავე დროს იყო მისი ნათესავი. აღნიშნული პირები შეთანხმდნენ და მართლაც მოსამართლემ, უზენაესი სასამართლოს ამ მოსამართლის თხოვნით, გამოიტანა ამ პირის სასარგებლო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ვერ გამოვლინდა, თუ რა იყო მოსამართლეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხლე-

ნის რეალური საფუძველი, კერძოდ, ეს გამომდინარეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი ავტორიტეტიდან, თუ ამ ორ მოსამართლეს შორის ახლოობური ურთიერთობიდან.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული შეხედულების თანახმად, „ვინაიდან ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ, ამგვარი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქრთამის აღებად, არამედ ზეგავლენით ვაჭრობად“.<sup>13</sup> სამართლიანობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კანონით დადგენილი წესით ვერ მტკიცდება სამართლებრივად უფრო მძიმე ქმედების, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების ფაქტი, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის ბრალდებულისათვის სასიკეთოდ გადაწყვეტას. რისი გამოვლინებაც არის სწორედ ამ შემთხვევის ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით დაკვალიფიცირება, ვინაიდან აღნიშნული ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ქრთამის აღება კი არის მძიმე დანაშაული.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ზემოთ უკვე განხილულ შემდეგ გარემოებას, კერძოდ, ზეგავლენით მოვაჭრე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იღებს უშუალო მონაწილეობას, იგი მოკლებულია ფაქტობრივ შესაძლებლობას, რომ თავად განახორციელოს მისი ინტერესის სფეროში მოქცეული საკითხის დადებითად გადაწყვეტისაკენ მიმართული რაიმე სახის ქმედება. ქრთამის ამღებისაგან განსხვავებით, ზეგავლენით მოვაჭრე ამ პროცესისაგან სრულად დისტანცირებულია და იგი, ფაქტობრივად, სრულად დამოკიდებულია იმ უფლებამოსილ პირზე (პირებზე), რომლის მიმართაც მან განახორციელა არამართლზომიერი ზეგავლენა.

„მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას აგრეთვე გააჩნიათ სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც, კერძოდ: დანაშაულის

13 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 412.



საგანი მექრთამეობის დროს განკუთვნილია მოხელეზე გადასაცემად, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას – პასიური ზეგავლენით მოვაჭრისათვის<sup>14</sup>. მექრთამეობაში შუამავალი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქრთამის აღების ან მიცემის თანამონაწილეა, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას მოხელესთან „შუამავალი“ პირი – ზეგავლენით მოვაჭრე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მექრთამეობაში შუამავალი და ზეგავლენით მოვაჭრე-ფაქტობრივი მოცემულობით ემსგავსებიან ერთმანეთს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში აღნიშნული პირების მიერ განხორციელებული ქმედება ხელს უწყობს მოხელის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების პროცესს. პირველ შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავალი, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ორგანიზატორიც, წამქეზებელიც და დამხმარეც, შესაბამისად, იგი თავისი როლის გათვალისწინებით აქტიურადაა ჩართული მექრთამეობის პროცესში. ანალოგიური ვითარებაა ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაშიც, ვინაიდან პასიური ზეგავლენით მოვაჭრე თავისი როლისა და ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ითავსებს ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის ფუნქციას, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. მაგალითად, როდესაც ზეგავლენით მოვაჭრე ცდილობს მოხელის დაყოლიებას სხვა პირისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად, იგი ფაქტობრივი მოცემულობით გვევლინება წამქეზებლის ამპლუაში, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით კი არის ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის ამსრულებელი. ასევე, ორივე შემთხვევაში როგორც შუამავალი, ასევე ზეგავლენით მოვაჭრე, უშუალოდ ვერ იღებს მონაწილეობას „საქმის მოგვარების“ პროცესში, ისინი არსებითად დამოკიდებულნი არიან გადაწყვეტილების უშუალოდ

მიმღებ პირზე – მოხელეზე. შესაბამისად, მექრთამეობაში შუამავალი და ზეგავლენით მოვაჭრე, ფაქტობრივი თვალსაზრისით, ემსგავსებიან ერთმანეთს, ვინაიდან ასრულებენ ერთსა და იმავე სახის ქმედებებს, თუმცა სამართლებრივი შედეგების მიხედვით ისინი წარმოადგენენ მკვეთრად განსხვავებულ სუბიექტებს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავალი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არის ქრთამის მიცემის ან აღების თანამონაწილე, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაში კი – ზეგავლენით მოვაჭრე არის უშუალოდ აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი. მაგალითად, როდესაც მეუღლე ურჩევს თავის მოსამართლე ქმარს, რომ აიღოს საჩუქრად მიღებული ავტომობილი და გამოიტანოს საჩუქრის მიმცემის სასარგებლო გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში მეუღლე ჩაითვლება ქრთამის აღებაში თანამონაწილედ, კერძოდ, იგი იქნება წამქეზებელი. ხოლო უკეთუ მას აჩუქეს ავტომობილი და ამის გამო იგი სთხოვს მოსამართლე ქმარს, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება „მისი მეგობრის“ მიმართ, ამ შემთხვევაში ცოლი არის პასიური ზეგავლენით მოვაჭრე.

მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის პრაქტიკულ დონეზე გამიჯვნის სირთულისა და თავად „არამართლზომიერი ზეგავლენის“ არსის ბუნდოვანების საფუძვლით, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ უარი განაცხადა ზეგავლენით ვაჭრობის ქმედების კრიმინალიზაციაზე. მაგალითად, მართალია, გერმანიამ ოფიციალური დათქმა არ გააკეთა ევროპის საბჭოს 1999 წლის „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ მე-12 მუხლზე, თუმცა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია არ მოუხდენია. ანალოგიურად, ჰოლანდიაშიც არ მომხდარა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია. მათი განმარტებით, „მექრთამეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, მცდელო-

14 იქვე. გვ. 417.

ბისა თუ თანამონაწილეობის ინსტიტუტის ჩათვლით, საკმარისად უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატის დაცვას არასანქცირებული ზეგავლენისაგან და, აქედან გამომდინარე, საჭიროდ არ მიაჩნიათ აღნიშნული ქმედების ცალკე დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფა<sup>15</sup>. შვედეთში კი ხაზს უსვამენ „არამართლზომიერი ზეგავლენის“ არსისა და ფარგლების ბუნდოვანებას<sup>16</sup>. აღნიშნულ საკითხზე ანალოგიური მიდგომა არსებობს ასევე დანიამიც. მათი შეხედულებით, „ზეგავლენით ვაჭრობა ნაწილობრივ შერწყმულია კერძო სექტორში არსებულ მეურთაშობის დანაშაულთან, თანამონაწილეობის ასპექტში“. ასევე მიუთითებენ, აღნიშნული დანაშაულის რთულ სტრუქტურაზე<sup>17</sup>.

ახლა საინტერესოა მოკლედ განხილულ იქნეს იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებშიც ზეგავლენით ვაჭრობა ცალკე დანაშაულად არის გამოცხადებული. ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „დასჯადაა გამოცხადებული აქტიური და პასიური ზეგავლენით ვაჭრობა“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში დაზუსტებულია აღნიშნული ქმედების სუბიექტი. კერძოდ, ცალკე ნაწილებადაა გათვალისწინებული აქტიური და პასიური ზეგავლენით ვაჭრობა ჩადენილი მოხელის მიერ და ანალოგიური ქმედებები ჩადენილი ჩვეულებრივი სუბიექტის მიერ<sup>18</sup>.

ამდენად, ნორვეგიაში პირდაპირ საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი მოხელის მიერ როგორც აქტიური, ასევე პასიური ზეგავლენით ვაჭრობის ჩადენის შესაძლებლობა. ნორვეგიის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით: „ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როდესაც ზეგავლენით მოვაჭრე იყენებს თავის სტატუსს საჯარო მოხელეზე არამართლზომიერი გავლენის მოსახდენად თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ხოლო პასიური მეურთაშობა კი მოითხოვს, რომ სასურველი გადაწყვეტილება ნაწილობრივ მაინც ექცეოდეს დამნაშავის სამსახურებრივი კომპეტენციის სფეროში“<sup>19</sup>. ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადაა გამოცხადებული მხოლოდ პასიური ზეგავლენით ვაჭრობა ჩადენილი საჯარო მოსამსახურის ან ჩვეულებრივი სუბიექტის მიერ<sup>20</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ ესპანეთის კანონმდებლობით დასჯად არაა გამოცხადებული აქტიური ზეგავლენით ვაჭრობა. ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის შემადგენლობა პირველად ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში გამოჩნდა 1928 წელს, თუმცა მან იარსება 1944 წლამდე, ამის შემდგომ თაღლითობად კვალიფიცირდებოდა ის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ატყუებდა დაინტერესებულ პირს, რომ მას შეეძლო ზეგავლენის მოხდენა მოხელეზე, თუმცა, ფაქტობრივად მას არ გააჩნდა არც

15 Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

16 იქვე. გვ. 4.

17 Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, გვ. 3-4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

18 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 34.

19 იქვე. გვ. 35.

20 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 37-38.

რეალური და არც სავარაუდო ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.<sup>21</sup>

მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობის ურთიერთმიმართების საკითხზე უნდა აღინიშნოს შემდეგი, კერძოდ, მექრთამეობა, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, პირდაპირ და ასრებითად დაკავშირებულია მოხელესთან. კერძოდ, აღნიშნული დანაშაულის მთავარი ფიგურანტი არის მოხელე, რომელიც უკანონოდ იღებს მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული ქმედების დანაშაულად გამოცხადებით, სახელმწიფოს სურს, რომ მოხელეებისათვის მიკუთვნებული სამსახურებრივი მდგომარეობა მოხმარდეს მხოლოდ სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს და იგი არ იქცეს მათი გამდიდრების წყაროდ. ესე იგი აქ აქცენტი გადატანილია სწორედ იმაზე, რომ მოხელემ „არ ივაჭროს“ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით. სულ სხვა ვითარებაა ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის შემთხვევაში, აქ აქცენტი გადატანილია არა უშუალოდ მოხელეზე, არამედ იმ პირზე, რომელიც პირადი სარგებლის მიღების საფუძვლით შეეცდება მოხელეზე არამართლზომიერო ზეგავლენის მოხდენას, ხოლო, თუ მოხელე მოექცევა აღნიშნული ზეგავლენის ფარგლებში და მიიღებს უკანონო გადაწყვეტილებას, იგი პასუხისმგებლობაში მიეცემა არა უშუალოდ ქრთამის აღებისათვის, არამედ – სამოხელეო დანაშაულის სხვა მუხლით (მაგალითად, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზეგავლენით ვაჭრობა სწორედ იმიტომ არ წარმოადგენს კორუფციული დანაშაულის კლასიკურ სახეს, რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ მოხელე არაა ჩართული კორუფციულ გარიგებებსა და სარგებლის მიღების

პროცესებში. იმისათვის, რომ მექრთამეობა იყოს სახეზე, აუცილებელია იკვეთებოდეს აღნიშნული დანაშაულის მთავარი ფიგურანტის – მოხელის უშუალო მონაწილეობა კორუფციულ პროცესებში, ეს უკანასკნელი კი ცალსახად არ იკვეთება ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობაში.

ამდენად, ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის არარსებობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა რჩებიან ის პირები, რომელთა ძალისხმევითაც მოხელემ განახორციელა უკანონო ქმედება, კერძოდ, სხვა სამოხელეო დანაშაული (მაგრამ არა ქრთამის აღება). ამ შემთხვევაში ამ პირების მექრთამეობაში შუამავლად მიჩნევა და მათი ქმედების თანამონაწილეობად დაკვალიფიცირება სამართლებრივად უსაფუძვლოა, ვინაიდან სახეზე არ გვყავს მექრთამეობის სუბიექტი – მოხელე, ურომლისოდაც აღნიშნული შემადგენლობა არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მექრთამეობა თავისი კლასიკური გაგებით არ მოიცავს ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის ნიშნებს, ამდენად, ამ უკანასკნელის ცალკე დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსში არსებობა აუცილებელია, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ სამართალმეფარდების პროცესში აღნიშნული დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც სუბიექტად გვევლინება მოხელე, რომელიც არ იყენებს სამსახურებრივ ავტორიტეტს. აღნიშნულ შემთხვევებში საქმის სწორად გადაწყვეტა არსებითად დამოკიდებულია სწორედ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეულ შესწავლასა და შემდგომში მათ სწორ სამართლებრივ შეფასებაზე.

21 იქვე. გვ.37.

## დასკვნა

მართალია, ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას გააჩნია საერთო ნიშნები, თუმცა ისინი თავიანთი არსითა და დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთავარი (კონსტიტუციური) განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ ზეგავლენით ვაჭრობისას, განსხვავებით ქრთამის აღება-მიცემისაგან, წინა პლანზეა წამოწეული პირადი ხასიათის (ახლობლური, მეგობრული, ნათესაური და ა.შ.) ურთიერთობები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად (მოტივად) გვევლინებიან. როგორც ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში გამოჩნდა, რომ ამ დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ამსრულებლად გვევლინება მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, როდესაც საქმეში ფიგურირებს მოხელე, ეს უპირობოდ არ უნდა ჩაითვალოს მის მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებად და შესაბამისად, ეს ვითარება არ უნდა ვაქციოთ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების პრეზუმფციად.

ამ შემთხვევაშიც ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, მოხელე დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებლად სხვა მოხელეზე თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ახდენს არამართლზომიერ ზეგავლენას თუ პირადი ხასიათის ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოხელე უნდა ჩაითვალოს კერძო პირად, დანაშაული კი უნდა დაკვალიფიცირდეს ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით. როგორც ზემოთაც დავინახეთ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის პოზიცია ანალოგიურია, რაც მთლიანობაში თანხვედრაში მოდის ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთებასთან.

ამდენად, შემდგომში სასამართლო შეცდომებისა და მცდარი პრაქტიკის ჩამოყალიბების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ გააკეთოს მნიშვნელოვანი განმარტება, რომელიც იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო სტანდარტი ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეკვიძი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
2. მაყაშვილი, ვ. და ტყეშელიძე, გ., 1964. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. ღლონტი, გ. და სხვები. 2011. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.
4. Ferguson, G., 2018. Global Corruption, law, theory, practice, Third edition. Canada: University of Victoria.
5. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape.

**ინტერნეტ რესურსები:**

1. Anti – Corruption resource centre. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.u4.no/terms>> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
2. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

**ნორმატიული მასალა:**

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. ნიუ იორკი, 2004. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.unodc.org/documents/brussels/UN\\_Convention\\_Against\\_Corruption.pdf](https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf)> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
2. ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“. სტრასბურგი, 27/01/1999.
3. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

**სასამართლო პრაქტიკა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი (საქმე N 128 აპ-16).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განაჩენი (საქმე N 497 აპ-16).

**Bibliography:****Used Literature:**

1. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Makashvili, V. and Tkesheliadze, G., 1964. The responsibility for bribery. Tbilisi: soviet Georgia. (in Georgian)
3. Ghlonti, G. and others, 2011. Corruption in

Georgia. Criminology analyse and commentary of Judicial practice. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state university Tinatin Tsereteli state and law institute (in Georgian)

4. Ferguson, G., 2018. Global Corruption, law, theory, practice, Third edition. Canada: University of Victoria. (in English)
5. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape. (in English)

**Internet Resources:**

1. Anti–Corruption resource centre. [online] available at: <<https://www.u4.no/terms>> [Accessed 20 November 2021]. (in English)
2. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university. [online] available at: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [Accessed 25 November 2021]. (in English)

**Normative Materials:**

1. Criminal Law Convention on Corruption. Strasbourg 27/01/1999. (in English)
2. United Nations Convention against Corruption. New York 2004. [online] available at: <[https://www.unodc.org/documents/brussels/UN\\_Convention\\_Against\\_Corruption.pdf](https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf)> [Accessed 20 November 2021]. (in English)
3. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. # 2287. (in Georgian)

**Judicial practice:**

1. Decision of Supreme Court of Georgia, July 8, 2016 (Case N128 ap-16). (in Georgian)
2. Decision of Supreme Court of Georgia, January 25, 2017 (Case N497 ap-16). (in Georgian)

**References:**

1. Maqhashvili, V. and Tqesheliadze, G., 1964. The Responsibility for Bribery. Tbilisi: Soviet Georgia, p. 44. (in Georgian)

2. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 392. (in Georgian)
3. United Nations Convention Against Corruption. New York 2004. [online] available at: <[https://www.unodc.org/documents/brussels/UN\\_Convention\\_Against\\_Corruption.pdf](https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf)> [Accessed 20 November 2021]. (in English)
4. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in Influence in International Anti-Corruption Laws. South Africa: University of the Western Cape, p. 15. (in English)
5. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p.415. (in Georgian)
6. Anti-corruption resource centre. [online] available at: <<https://www.u4.no/terms>> [Accessed 20 November 2021]. (in Georgian)
7. Ghloni, G. and others, 2011. Corruption in Georgia, Criminology Analyse and Commentary of Judicial Practice. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state university Tinatin Tsereteli State and Law Institute, p. 314. (in Georgian)
8. Decision of Supreme Court of Georgia, 25 January 2017 (Case N 497 ap-16). (in Georgian)
9. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/09/1999. # 2287. (in Georgian)
10. Criminal Law Convention on Corruption. Strasbourg 27/01/1999. (in English)
11. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 412. (in Georgian)
12. Decision of Supreme Court of Georgia, July 28 2016 (Case N128 ap-16). (in Georgian)
13. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 412. (in Georgian)
14. Ibid. p. 417.
15. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, p. 3. [online] available at: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [Accessed 25 November 2021]. (in English)
16. Ibid. p. 4.
17. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, pp. 3-4. [online] available at: <[https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland\\_trading-in-influence.pdf](https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf)> [Accessed 25 November 2021]. (in English)
18. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in Influence in International Anti-Corruption Laws. South Africa: University of the Western Cape. p. 34. (in English)
19. Ibid. p. 35.
20. Ibid. pp. 37-38.
21. Ibid. p. 37.